

ქვეყნის

№ 18

პარასკევი,

24 ივლისი

1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ. ერთი თვით—80 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ. ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების დასრულებულიდან ერთი თვით პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამკლავირო განცხადების დაბეჭდვა თითოეული სტრიქონის 5 სმ-ზე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე დილის 9 მ. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმებში დილის 11—12 საათამდე. ყველა წერილი წერილობით არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მტარე წერილებს რედაქციამ უნდა დაელოდოს. მათ შესახებ არავითარ მიწერა-მოწერას და მოლაპარაკებას არ ეტყობა. განაგრძოს ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხოვნები. პრინციპულად უნდა იქნას შენარჩუნებული საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილობითი პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები წერილებს სუფთათა უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სახელი უნდა იქნას დატანილი საჭიროა დანიშნავს, წერილს შეასწავს და ავტორის სახელი უნდა იქნას დატანილი. ფულის გამოხატვა ადრე: თიფლის, ტიპოგრაფია „Сорапань“, Калистрату Константиновичу Дуладзе.

ყოველ-დღიური საკომიტიკო და სალიტერატურული გაზეთი

თფილისი, 24 ივლისი

როგორც პირველ წერილში ვსთქვით, რამდენადაც ისპანიაში კაპიტალისტური მრეწველობა ვითარდებოდა, რამდენადაც იგი ინდუსტრიულ სახელმწიფოთა ხდებოდა, იმდენათ მის საგარეო სახელმწიფო პოლიტიკაში სავაჭრო ანუ საზღვრო კოლონიების გაჩენა მთავარ ალავს იქცეოდა. ახლა მის კოლონიებს მხოლოდ და მხოლოდ სავაჭრო კოლონიების მნიშვნელობა უნდა ქონოდა, საქონლის გასაყიდ ბაზრათ გდაქცეულიყო და ამ ზედმეტ საქონლისთვის ბაზარი გაეჩინა. ამის მოთხოვნის ისპანიის კაპიტალისტური წარმოება და კონკურენცია. ამ თვალთ დაუწყა მან ახლა ცქერა მაროკოს და შეუდგა მის ჩვეულებრივ კაპიტალისტურ, კოლონიალურ, ექსპლოატაციას. რასაკვირველია, ისპანიის კაპიტალისტური ზედ მეტი საქონლის დაზიანება, იმის არ ნიშნავს, ვითომ ისპანიის მიერ დამუშავებული საქონელი აღემატებოდეს ისპანიის ხალხის მოთხოვნილებას; კითხვას თუ ასე შევხედავთ, მაშინ, რასაკვირველია, სრულიადაც არ იქნებოდა ზედ მეტი საქონლის დამუშავება, ზედ მეტი საქონლის დაზიანება, ვინაიდან ისპანიის და საერთოდ, ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოების ხალხის დიდი უმრავლესობა მხოლოდ თავის უსაჭიროეს და აუცილებელ მოთხოვნილებას იკმაყოფილებს. კაპიტალისტური ზედ მეტი საქონლის დამუშავება ისპანიაში გამოიხატება, რომ კაპიტალისტთა კლასის წარმოების გასაყიდ, საწარმოებ ხარჯებს, ერთი ათად და უფრო მეტად აღემატება წარმოების შემოსავალი. და ეს შემოსავალი ისე დიდია, რომ კაპიტალისტთა კლასმა არც კი იცის რა უყოს და სად წაიღოს ეს აუარებელი სიმდიდრე. მართალია, მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას, გადატყვევებულ ნაწილს, დაებადა მოთხოვნილება, მაგრამ მის არ აქვს ფული, რითაც საქონელი უნდა იყიდოს; კაპიტალისტთა კლასის აქეთ ფული, მაგრამ არა აქვთ მოთხოვნილება ეს აუარებელი სიმდიდრე მოიხმაროს. ამ რიგით, მათ თავის წლიურ წარმოებიდან მუდამ ერთი დიდი ნაწილი სიმდიდრისა ზედმეტად რჩება. სად უნდა წაიღოს ეს ზედმეტი სიმდიდრე, სად უნდა გაასაღოს? აი პრობლემა, რომელიც აუცილებლათ წინ უდგას ყველა ევროპულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს და ასეთივე პრობლემა უდგას წინ ისპანიის სახელმწიფოსაც. და აი, ამ პრობლემის გადასაწყვეტათ მან მაროკოს კოლონიას მიაპყრო თვალი. ის შეესია მაროკოს მცხოვრებთა პრიმიტიულ თემებს თავის ნაწარმოებით და დაუფრიალა მათ ნატურალური სასოფლო საბურთა წარმოება, თავისი ასეთი შესვლით მაროკოს ნატურალური, კარ-ჩაკეტული მწარმოებელი, ძალა-უნებურათ საქონლის მყიდველი გახდა. ამას, რასაკვირველია, აუცილებლად ზედ მიჰყვა მაროკოელების საქონლის გამყიდველებიც. ისპანიის ქსოვილების ინდუსტრიამ მოსპო და გააქრა მაროკოელების საოჯახო ფეიქრობა, ფაბრიკულმა ნაწარმოებმა—ყველა ხელისთვის წარმოება. ერთი სიტყვით, მიუნგრ-მოუნგრია მას ყველა ძველი წარმოების ურთიერთობანი და დამყარა მაროკოელებისათვის სულ ახალი, უცნობი პირობები. გარდა ამისა, ისპანიის კაპიტალისტებმა, როგორც ამის დღეს ყველა თანამედროვე კაპიტალისტები სწადიან, თავისი ზედმეტი კაპიტალი მაროკოში გადაიტანა და შეუდგა ექსპლოატაციას. ამ გზით მათ სრულიად გამოეიტეს მათი საწარმოო ძალა, გამოსწუწეს ყოველნაირი სიმდიდრე, გაამყვეს ერთგვარი შრომის პირობები, რომელიც, როგორც ვსთქვით, სრულიად არ შეეფერებოდა

მაროკოს წარმოების ურთიერთობას, მის სოციალურ წეს-წყობილებას. ერთის მხრივ ახალ წარმოების პირობების დამყარებამ, მეორე მხრივ, ისპანიელ კაპიტალისტების მიერ მაროკოელების ბარბაროსულმა ექსპლოატაციამ შექნა ის პირობები, ის სოციალური აუტანელი ატმოსფერა, რომელშიც წარმოება მაროკოელებსა და ისპანიის შორის შეტაკება, თანამედროვე კოლონიალური ომი.

მაროკოს ბერბერები უკვე მიხვდნენ თავიანთ მდგომარეობის აუტანლობას, შეიგნეს თავიანთი ინტერესების დაცვა და შესაფერეი საშუალებებითაც შეუდგნენ ბრძოლას. ისპანიელთა დაახლოვებასთან ერთად, დაუახლოვდნენ მათ კაპიტალისტურ კულტურასაც, მიხვდნენ მათ ჯადოქრულ ძალას, მათ მილიტარულ—თოფ-იარაღის სიძლიერეს, რომლის საშუალებითაც ისპანიელები იმორჩილებდნენ მათ. ისწავლეს არა მარტო ზედმეტი დიდი ბუფების შექმნა, არამედ მათი თოფ-იარაღის ხმარებაც, ამასთან, ისეთი დახელოვებით, რომ ისპანიის მხედრობას მეტათ ავირგებდნენ მათი ასეთი გაწრთვა თოფის ხმარებაში. მაროკოს მცხოვრებნი, ჩვეულებრივ ნადირობას მისდევდნენ, თავიანთი შრომის დიდ ნაწილს გარეულ ცხოველებზე ნადირობას ანდომებდნენ და ასეთ პირობებში მყოფი ხალხი, იარაღის ხმარებაში, რასაკვირველია, მეტ ფხსა და უნარს გამოიჩენს, ვიდრე სპორტის მოყვარული თავდაზნაურობა.

მაროკოში გავრცელებულმა ცეცხლის-მტყორცნულ იარაღების ხმარებამ მცხოვრებთ გაუორკეცა უნარი წინააღმდეგობისა, უნარი ისპანიის დამაბეჩავებელ პოლიტიკის წინააღმდეგ უმბრძოლებსა. იარაღი, რომლითაც ისპანიელებმა მაროკოელები დაიმორჩილეს, ახლა ბერბერების ხელში მთავარ საშუალებათ შეიქნა, რომლითაც მაროკოს მცხოვრებნი ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ ისპანიის კაპიტალისტთა ძალმომრეობას და მათ ბარბაროსულ ექსპლოატაციას.

ევროპული კაპიტალისტების წაუვიდათ იერარსხენებულ დრო, როცა ესენი თავისუფლათ დათარეშობდნენ კოლონიალურ ქვეყნებში და ხელშეუშლელათ ყველფდნენ და მიწისთან ასწორებდნენ მათ პრიმიტიულ წარმოების ფორმებს ძალმომრეობის საშუალებით და არღვევდნენ მათ სოციალურ ურთიერთობას. კოლონიალურმა ქვეყნებმა ახლა თავი წამოუყვეს თავიანთ მეტროპოლიტების უკანონო ექსპლოატაციის წინააღმდეგ და იბრძოთ ხელში ებრძვიან მათ.

ერთობ შემცდარი ის აზრი, ვითომ ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოებს, თავიანთ კოლონიებში კულტურა და ცივილიზაცია შექონდნენ. შემცდარია აგრეთვე ყოჩისის აზრიც, რომელშიც მთელი ოპორტუნისტების სახელით, შტუტგარტის საერთაშორისო სოციალდემოკრატიულ კონგრესზე განაცხადა, რომ ჩვენ კოლონიალურ პოლიტიკაში მომხრენი ვართ, ვგრეთ წოდებულ მშვიდობიანი შესვლისაო, მშვიდობიანი გზით კოლონიების დაპყრობისაო. როგორც ვიცით, კონგრესის დღემ უმრავლესობამ ერთმანეთ უარყო ოპორტუნისტების თანამედროვე კაპიტალისტურ პირობებში სოციალისტური კოლონიალური პოლიტიკა.

უმრავლესობამ კარგათ იცოდა, რომ კაპიტალისტური საზოგადოებაში, სოციალისტური კოლონიალური პოლიტიკის წარმოება ისეთივე უტოპისტურია, როგორც ამსოლიეტიკურ-დესპოტიკურ მთავრობის ხელიდან დემოკრატიული რესპუბლიკის გამოთხოვნა. კაპიტალისტური კოლონიების სოციალისტური შეთოდის საშუალებით დაარსება, ისეთივე მოუხერხებელი საქმეა, როგორც კაპიტალისტურ წეს-წყობილებაში სოციალისტურ საზო-

გადოების დამყარება. ეს ძველი უტოპიური კოლონიალური პოლიტიკა, რომელიც ერთობ დაგმობილია თანამედროვე მარქსისტულ სოციალისტურ პარტიისაგან და თვით ცხოვრების რეალურ მსვლელობიდან.

თანამედროვე კოლონიალური პოლიტიკა, აწარმოებს მას ბურჟუაზიული თუ სოციალისტური პარტია, მუდამ და ყოველთვის, ექსპლოატაციის და დამონების ნიადაგზე იქნება დამყარებული და მას არას დროს არ შეუძლია კოლონიებში მშვიდობიანი გზით შესვლა, როგორც ეს ოპორტუნისტებს გონიით, პირობით, იგი მუდამ მიხვნი იქნება სავრთაშორისო ომისა და ძალმომრეობისა. ისპანიის მშრომელი ხალხი აშკარათ გრძობს თავის მთავრობის სოციალისტური პოლიტიკის ასეთ მიდრეკილებას და აქი, იგი ქუჩაზე გამოდის და დემონსტრაციების და შეტაკების საშუალებით ხელს უშლის მაროკოში ჯარების გაგზავნას...

რევიოლიუცია და კონტრ-რევიოლიუცია სბარსეთში.

II. (გაგრძელება).

შპი უკიდურეს გაკვირებაშია. თვითონ სულთანთანადში გამაგრებული და იქ ელოდება თავის ბედს. თერანის დაცემა, ეს სულთანთანადის ძლიერების გაქარწყლებაა. ამიტომაც ის მთელ თავის ჯარს თერანს მიუსევს, აჯანყებულ ყაზალთა ქონება და სიცოცხლე თქვენთვის მიუქცია. მოკლეთ: შაბი ყოველ ზომას მიმართავს, რომ აჯანყებული სპარსეთის ხალხი დაიმორჩილოს. მისი ბრძანებით ჯარი გარაკიდან თერანს ზარბაზნებს უშენს. მისი მიზანია მეჯლისის შენობისა და სირფაჰალარის მეჩეთის განადგურება: აქ რევიოლიუციონერთა მთავარი ძალა თავმოყრილია. ამათ, რევიოლიუციონერები წინ მიიწვიენ და ყაზალთა ყაზარბს ემუქრებიან. მისი დაცემა მხოლოდ მოამბლის საქმეა.

შაბის მოქმედებით მართლმორწმუნენი აღუფლოდნენ. მეჩეთზე ზარბაზნების დაშენა მხოლოდ ურწმუნოთა და არა მუსულმანთა საქმეა. ნეჯფისისა და ქერბლას მრისხანე ხმა გაისმა. ეს ორი წმინდა ადგილი—ორივე ოსმალეთში მდებარე—ქალიფ აღლისა და მისი შეილის-შეილის პუსეინის სასოფლო და ყველა შიიტის მიერ თავდადრწყებამდე პატივცემული. და აი, აწმინდა მამებმა, მათ შორის დიდმა მუშტიდმა, რომელმაც წინეთ კონსტიტუცია ყოჩანის საწინააღმდეგოთ იცნო, დღეს შაჰს ალი-მაჰმედს აჯიბათი—სამღვთო ომი გამოუცხადეს: ამიერიდან შაბი ტახტიდან ჩამოგდებულია და მუსულმანთა საზოგადოებიდან განრისხებულია. რას უწუებენ შაბს ეს მუსულმანთა სამღვდლოების მეთაურები? კონსტიტუციის დარღვევას და ყოჩანზე ფიცის გატეხას, მეჩეთ სირფაჰსალარზე ყუზბარის დაშენას და აწმინდა მამათა—მუშტიდების შეურაცყოფას. თვით საკაცობრიო ბრძოლის ეპისოდ ბუცემი თავის თავს არ ივიწყებენ!

საბი დღე და დამე სწარმოებს მრისხანე მოქალაქობრივი ომი. შაბს ომის დღეთა გაუწყრა და ისიც ყველამ დასტოვა. მისი სულის ჩამდგმელი რეაქციონერები—ყველა ეს ემირ-ჯენლ-ბაღათურები და პრინც ნაიმ-ეს-სალიანები, რომელთაც ის დაღუპეს და ტახტი დააკარგინეს—დღეს მხოლოდ ტყავის გადარჩენაზე ფიქრობენ და ზოგი საზღვარ-გარეთ მიქრობება, ზოგიც ბესტუმი ეტებს თავის ხსნას. შაბის მარჯვენა ხელი გენერალი-სიმუსი ლიხთავი და მისი ბრიგადა ახალ-სეგუხარისა და სარდალ ასადის მთავრობას ურიგდებიან, შაბის დღე დათვლილია. მოკლეთ, შაბი საშინლათ დამარცხდა და 3 ივლისს დილა ადრიან რუ-

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღებისა

გაზეთი ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილისი გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.	თფილისში
ქალაქ გარეთ	3 თვით—2 მან. 50 კაპ.
1 " " " 90 "	1 " " " 80 "

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან ცალკე ნომერი ყველგან—მართი შაური

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ფულის გამოხატვა ადრესი: თიფლის, ტიპ. „Сорапань“, Калистрату Конст. Дуладзе.

პოლიტიკური ბოგდანოვი

პოლიტიკური ბოგდანოვი

(მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა).

სკელის მოწერა მიიღება მხოლოდ 1-ლ აკვისტომდე. წიგნი დაბეჭდვამდე, რამდენიც სკელის მომწერი იქნება და ამიტომ გასაყიდათ არ გამოვა.

ერთხელ კიდევ მოვაგონებთ მათ, ვისაც ხსენებული წიგნის შექმნა სურს დანიშნულ დრომდე მოაწერონ ხელი.

გაიხსნა ახალი თფილისის კერძო სამაგისტრო

ღია ყოველდღე მოსიარულე ავთიმყოფთათვის. ვაგზლის ქ. № 8; ს. ნიჟინაის ქ. (ტელეფონი 895).

მე. ბ. ვ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ითხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბაგშეებისა.

მე. ბ. დამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბაგშე. ავთიმ. შეასტრა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

მე. ბ. ა. ბოგდანოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირისა 12—1 ს.; ყველის, ცხვირის და ყურის ავთიმ.

მე. ბ. მ. მაკაროვი: შეასტრა მიღება 1 სექტემბრამდე.

მე. ბ. ნ. დიხაშვილი: ყოველ დღე 11¹/₂—12¹/₂ ს.; სიფილი, ვენ. და კანის ავთიმე.

მე. ბ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 გ.; დედათა და ქორთუგ. ავთიმე.

მე. ბ. გ. გომაროვილი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბაგშე. ავთიმე.

მე. ბ. ნ. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღე გარდა 2—2¹/₂ ს.; თვალის ავთიმე.

მედიკოსკოპული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასწავლა.

ფსხები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 80 საწოლით.

კაბილის მკვირი

ი. შ. ზანტური

იღებს ავთიმყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავტალის № 71 (კიროსი ქუჩის ახლოს)

ქ. ბაქოვი

● კვირას, 26 ივლისს ●

ბალახანის კრუეკები

დრამატული ხელოვნების მოყვარე მუსიკათა ჯგუფის მიერ მოწვეულია ქართველების საზოგადო კრება. გასარჩევი საკითხი: დრამატული საზოგადოების დაარსება ბალახანში. (2—2)

ქ. ფოთში

ქ. ნ. ბ. ლოლუას თაოსნობით

● ● ● ხ ს ს ე ბ ა ● ● ●

ქალებს კერძო შრომითიანადური სკოლა, სადაც გარდა სხვადასხვა ხელობისა ქალიშვილებს ასწავლიან რუსულს, ქართულს და ანგარიშს. გადასახადი, მოწაფეების სასიამოვნო და ყველასათვის ხელმისაწვდომია. (10—9)

აბასთუმანში

კბილის ექიმი

◆ სამსონ ვაშაძე ◆

იღებს ავთიმყოფებს ყოველდღე მარია-მობისთვის გასვლამდე. დაბა ტერ-მარკაროვისა № 42.

დ. სამტრედიასში

საექიმო კაბინეტი ქორთუგიულ ავთიმყოფთა ამბულატორიით. ექიმი ი. ვნ. ჯაში, ავთიმყოფების მიღება ყოველ დღე.

კვირას, 26 ივლისს, მთავრობის ნებართვით

სოფელ ფარცხანაჯანკში

ორკლასიან სასწავლებლის დაბაზში გაითარტება ქართული წარმოდგენა ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.

წარმოდგენად იქნება:

- 1) ღატრიკალდა ჯარა ვოდევილი ერთ მოქმედ.
- 2) ალაგ და ევა და ბოლოს დივერტისმენტი.

დასწავის სადამის 8 საათზე. გამე კოტე კვირანაძე

ფქრჯადა

ლ. ბარკალაია

უცრის ყვავილს, იღებს ყველკრებებით, ხუნავით და ვენერიული სენით ავთიმყოფებს 3 საათიდან 8 საათამდე. გოგლის ქუჩა № 88.

